პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 სექტემბერი, შაბათი, 1986 წ.
№ 187 (2348) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ელვა-ინფორმაცია

◎ **ტყვიის სროლა** (პპ-2)—მეგი ხუბულაშვილი VIII ადგილი (9 ქულა).

◎ **სინქრონული ცურვა.** ხრისტინა ფალასინიდი ფინალურ ჯგუფში VII შედეგით შევიდა. ლელა მამიაურმა დაამთავრა ასპარეზობა და IX ადგილზეა. გუნდურ შეჯიბრებაში ლიდერობს მოსკოვის ნაკრები. შემდეგ მოდიან რსფსრ-ის, ლენინგრადის, საქართველოსა და უკრაინის გუნდები.

◎ **თანამედროვე ხუთჭიდი.** დაიწყო პირადი პირველობა. საქართველოდან გამოდიან ვახტანგ იაგორაშვილი და იური ვერბიცკი.



მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის



# მერვე პარტია

„**სოფიის** მიკრო-მატჩის" ბოლო, მერვე პარტია ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე გამოდგა მთელ მატჩში. 21-ე სვლაზე პრეტენდენტმა ახალი გამარჯვება მიულოცა მსოფლიო ჩემპიონს. პარტია მაშინ დამთავრდა, როცა ბრძოლა ეს-ესაა უნდა დაწყებულიყო. მეტოქეებმა გრიუნფელდის დაცვა გაითამაშეს და ახმილოვსკაიამ საგრძნობი პოზიციური უპირატესობა მიიღო, თუმცა არც ჩიბურდანიძის ფიგურები იდგნენ უქმად. მზად იყვნენ ფიცხელ ორთაბრძოლაში ჩასაბმელად, მაგრამ თურმე ისინი ამაოდ ელოდნენ ამ წუთს. 21-ე სვლაზე პრეტენდენტი უხეშად შეცდა, ფიგურა დაკარგა და წინააღმდეგობა შეწყვიტა.

**ახმილოვსკაია — ჩიბურდანიძე**

**გრიუნფელდის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მf3 კg7 4. g3 0—0 5. კg2 c6 6. მc3 d5 7. cd cd 8. მe5 e6 9. 0—0 მfd7 10. მf3 მc6 11. კf4 მf6 12. ეc1 h6 13. კe5 კd7 14. კd6 ეe8 15. მe5 მ:e5 16. de მg4 17. ლd4 h5 18. h3 მh6 19. e4 კc6 20. ed ed 21. კ:d5 ლ:d6. თეთრები დანებდნენ.

ამრიგად, სოფიაში დამთავრდა ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაიას მატჩის პირველი ნახევარი. ანგარიშია 6:2 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. ახლა მეტოქენი სამშობლოში გამოემგზავრებიან და ბორჯომში განაგრძობენ ორთაბრძოლას.. ჩიბურდანიძეს ტიტულის შესანარჩუნებლად დარჩენილ 8 პარტიაში ორი ქულაც ჰყოფნის.

# სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

**საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაგარი:**

**„ვერცხლი" — ვლადიმერ გოგოლაძე (სპორტული ტანვარჯიში)**

**„ბრინჯაო" — სპარტაკ ასანიძე (კრივი, +91 კგ)**

**„ბრინჯაო" — გენადი გოდუნოვი (ტრეკზე რბოლა)**

**„ბრინჯაო" — ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა, პპ-2).**

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები: ელგუჯა გერიშვილი, ავთანდილ ბურასაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი, დავით კაკაბაძე მოსკოვიდან, თამაზ ხარაბაძე ტალინიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

## ქულები, მედლები, ადგილები...

**სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდება. ცხადია, ჩვენს მკითხველს, სპორტის გულშემატკივარს აინტერესებს რა მდგომარეობაა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, ვინ რამდენი მედალი მოიპოვა და ა. შ. ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ ცხრილებს, გავაანალიზებთ მდგომარეობას, ვიმსჯელებთ მოსალოდნელ ცვლილებებზე. მანამდე კი გაცნობებთ, რომ 25 სექტემბრის ჩათვლით ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა დელეგაციამ სულ 3316 ქულა მოაგროვა და VII ადგილზეა. შემდეგ მოდის უზბეკეთი 3251 და ლიტვა — 3201. მედლები: ყაზახეთი 42 (ოქრო 11, ვერცხლი 11, ბრინჯაო 20) VI ადგილი — 212 ქულა; საქართველო — 35 (16 — 6 — 13) VII ადგილი — 194; უზბეკეთი — 25 (9 — 8 — 8) VIII ადგილი — 185; ლიტვა — 20 (5 — 5— 10) IX ადგილი — 100. (მონაცემებში არ შედის გუშინდელი შეჯიბრებების ქულები და მედლები).**

# ვლადიმერ გოგოლაძის ახალი წარმატება

25 სექტემბერს, საღამოს, სპორტკომპლექს „ოლიმპიურის" სარბიელზე გაიმართა ტანმოვარჯიშე ვაჟთა დასკვნითი შეჯიბრება მრავალჭიდში. სპარტაკიადის **აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ვლადიმირელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვლადიმერ არტიომოვმა. ვერცხლის მედალი მიიღო თბილისელმა ვლადიმერ გოგოლაძემ, ბრინჯაოსი — სერგეი გუსევმა (რსფსრ).**

მრავალჭიდელთა ტურნირში 36 ტანმოვარჯიშე ჩაება, ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას გოგოლაძესთან ერთად იცავდნენ **ამირან ბერიანიძე, ალექსანდრე ლებედევი და ნუგზარ ლვინიაშვილი.** ლიდერთა სამეული — არტიომოვი, გოგოლაძე, გუსევი — ჯერ კიდევ გუნდური შეჯიბრების შემდეგ გამოიკვეთა, მაგრამ გოგოლაძე არტიომოვს 0.8 ქულით ჩამორჩებოდა, ამ სხვაობის ლიკვიდაცია კი ერთობ ძნელია. ლიდერთა ჯგუფის გამოსვლა თავისუფალი ვარჯიშით დაიწყო. გოგოლაძემ აქ 9,55 ქულა დაიმსახურა, ტაიჭზე და რგოლებზეც კარგად ივარჯიშა, მაგრამ ორძელზე მხოლოდ 9,25 ქულა მიიღო და მას გუსევი წამოეწია. 5 სახეობის შემდეგ გოგოლაძეს და გუსევს თანაბარი ქულები ჰქონდათ. არტიომოვი კი დამაჯერებლად ლიდერობდა. ვერცხლის მედლის მფლობელის ვინაობა ძელზე ვა-

იხ. მე-2 გვ.

ბარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის.

# მეცხრამეტე პარტია

**ამ** მატჩ-რევანშმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა მაცდურია ჭადრაკში, და საერთოდ, სპორტში პროგნოზები... ანგარიში გათანაბრდა 9,5:9,5. ახლა ძნელია თქვა, როგორ დამთავრდება მატჩ-რევანში, მაგრამ ერთი რამ უდავოა — ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, დაძაბული და დრამატული ორთაბრძოლა უმაღლეს დონეზე.

მეცხრამეტე პარტიაში კასპაროვმა, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა, კვლავ გრიუნფელდის დაცვა აირჩია. კარპოვმა თავიდანვე კარგ უჯრებზე განალაგა თავისი ფიგურები და ხიფათის თავიდან ასაცილებლად ჩემპიონს ხარისხის დათმობა მოუხდა. ამან მართლაც მისცა ერთგვარი შვება მას. უკვე მე-18 სვლისათვის კასპაროვს ხარისხის სანაცვლოდ ზედმეტი პაიკი ჰქონდა და ფიგურებიც აქტიურად ჰყავდა განლაგებული. მაგრამ თეთრების ძლიერი, გამსვლელი d პაიკი სრული დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა ჩემპიონს. და საბოლოოდ, როცა პოზიცია გამარტივდა და პარტია ენდშპილში გადავიდა, სწორედ ამ d პაიკმა გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ამ დროისათვის თეთრებს უკვე მატერიალური და პოზიციური უპირატესობა აქვთ.

**ა. კარპოვი — გ. კასპაროვი**

**გრიუნფელდის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. მf3 კg7 5. ლb3 dc 6. ლ:c4 0—0 7. e4 მa6 8. კe2 c5 9. d5 e6 10. 0—0 ed 11. ed კf5 12. კf4 ეe8 13. ეad1 მe4 14. მb5 ლf6 15. კd3 მb4 16. მc7 მ:d3 17. მ:e8 ე:e8 18. ლ:d3 ლ:b2 19. ეde1 ლb4 20. მd2 ლa4 21. ლc4 ლ:c4 22. მ:c4 კc3 23. მd2 კ:d2 24. კ:d2 კd7 25. კf4 კb5 26. f3 g5 27. კ:g5 კ:f1 28. მფ:f1 მd6 29. კe7 მc8 30. კ:c5 ეd8 31. ეe5 f6 32. ეf5 b6 33. კd4 მe7 34. კ:f6 ე:d5 35. ეg5+ ე:g5 36. კ:g5 მc6 37. მფe2 მფf7 38. მფd3 მფe6 39. მფc4 მe5+ 40. მფd4 მc6+. პარტია გადაიდო. მეორე დღეს თამაშის განუახლებლად შავები დანებდნენ.

ამრიგად, ანგარიში გათანაბრდა — 9,5:9,5. მეტოქეებს სათამაშო დარჩათ 5 პარტია. მატჩ-რევანშის მოგებისთვის გარი კასპაროვს სჭირდება 2,5 ქულის მოგროვება. ანატოლი კარპოვს კი 3 ქულის.

**გ. კასპაროვისა და ა. კარპოვის მატჩ-რევანშის მე-20 პარტია, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, შედგება 29 სექტემბერს. მესამე, უკანასკნელი ტაიმ-აუტი აიღო ანატოლი კარპოვმა.**

# შაბათს და კვირას

## სად ვივარჯიშოთ, სად ვიასპარეზოთ, სად დავისვენოთ...

**თბილისი. სპორტკომბინატ „დინამოს" ბაზები. სტადიონი** — შაბათს და კვირას იწვევს ველოსპორტისა და მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულებს (ინვენტარი გაქირავდება ადგილზე), სტადიონს შეგიძლიათ ეწვიოთ აგრეთვე ოჯახებით, ინსტრუქტორები მოემსახურებიან გამაჯანსაღებელი რბენის მოყვარულებს. **„დინამოს" ვაზისუბნის ჩოგბურთის კორტები** მოემსახურება მიკრორაიონის მოსახლეობას. კვირას 15 საათიდან **„დინამოს" სტადიონის სათადარიგო ფეხბურთის მოედანი** ფეხბურთის მოყვარულთა განკარგულებაში იქნება დღის ბოლომდე.

**„ბურევესტნიკის" კომპლექსი** (უნივერსიტეტის, 6) აქ ხვალ 12 საათზე დაიწყება თბილისის უბნების ფეხბურთელთა მეოთხედფინალური მატჩები საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. მაუდკამვოლის კომბინატის სტადიონი. დღეს 35-ე საფეხბურთო სკოლის პირველობა. 10 ს.

**„განთიადის" ჭიდაობის სპორტულ სკოლაში** გრძელდება 1974-75 წლებში დაბადებული ჭაბუკების მიღება კლასიკური სტილის, თავისუფალი სტილისა და ძიუდოს სექციებში.

**სპორტსახკომის საცხენოსნო სკოლაში** (იპოდრომი) შაბათს დამატებით შეარჩევენ 8-12 წლის მოზარდებს ცხენოსნობაში სამეცადინოდ. თბილისის განათლების სამმართველოს საცურაო აუზზე (საირმის ქუჩა) გრძელდება 6-12 წლის ბავშვების მიღება ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში.

**საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ სასარგებლო წამოწყებას: საკვირაო სპორტულ ღონისძიებას მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის. ამ ღონისძიების ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობენ თბილისის განათლების სამმართველო პროფტექსასწავლებლების სახელმწიფო კომიტეტი, განათლების სამინისტრო.** კვირას დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

**ლენინის რაიონი.** ცურვა, ტყვიის სროლა. ელმავალმშენებელი და ჩარხმშენებელი ქარხნების, აგრეთვე ლენინის რაიონის დოსააფის ბაზები. 10 ს.

**გლდანის რაიონი.** ცურვა. 174-ე და 175-ე საშუალო სკოლების ბაზები. 10 ს.

**ოქტომბრის რაიონი.** მძლეოსნობა. ლენინის სახელობის სტადიონი. 10 ს.

**1 მაისის რაიონი.** ცურვა (დილომი). 10 ს.

**კიროვის რაიონი.** კალათბურთი, ფეხბურთი, მინი-ფეხბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ჭადრაკი. 144-ე, 72-ე, 127-ე საშუალო სკოლების ბაზები. 11 ს.

**საბურთალოს რაიონი.** ფეხბურთი, ფრენბურთი. სამედიცინო ინსტიტუტის სპორტული კომპლექსი. 10 ს.

**ქუთაისი.** შაბათს და კვირას მოსახლეობისთვის ღია იქნება ქალაქის ყველა სპორტული ბაზის კარი. გარდა ამისა, მიკრორაიონების სპორტულ მოედნებზე სავარჯიშოდ და სასპარეზოდ გამოვლენ კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოყვარულები.

**ქუთაისელებმა აიტაცეს თბილისელთა თაოსნობა — კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზზე დაიწყო ქალაქის უბნების შეჯიბრებები ფეხბურთში. დღეს და ხვალ სარბიელზე გამოვლენ „საფიჩხიას", „ბალახვანის", „მუხნარის", „მწვანე ყვავილას", „ჭომის", „გორას", „ზაქტავას", „ბოლასყურის", „ბაკისუბნის" და „სტადიონისუბნის" ფეხბურთელთა გუნდები.**

**ბათუმი.** წყალბურთი. საკავშირო ტურნირი გ. მერკვილაძის პრიზზე. ფრენბურთი. რესპუბლიკური პირველობა ახალგაზრდებს შორის.

კვირას „განთიადის" კოლექტივები ატარებენ მასობრივ ტურისტულ ლაშქრობას მთა „მტირალაზე". ქალაქის სპორტულ ბაზებზე გრძელდება მედიცინის მუშაკთა საქალაქო სპარტაკიადა.

**ანგისას სტადიონზე.** შაბათს 10 ათასამდე ფიზკულტურელი ჩააბარებს მშდ კომპლექსის ნორმატივებს. იქვე ჩატარდება შეჯიბრებები ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში.

**სოხუმი.** ქალაქის სპორტულ ბაზებზე ჩატარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები სხვადასხვა ასაკის მოსახლეობისათვის.

**ცხინვალი.** დღეს და ხვალ მოსახლეობის განკარგულებაშია ყველა სპორტული ბაზა, გაგრძელდება მიღება გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სექციებში.

**რუსთავი.** ახალგაშენებულ სპორტულ მოედნებზე დღეს და ხვალ შეიკრიბებიან ქალაქის მიკრორაიონების მცხოვრებლები. ყველას შეუძლია ითამაშოს ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, მკლავისა და მუხლის ძალა მოსინჯოს საჭიდაო არენაზე.

**გორი.** საცხოვრებელ ადგილებში სპორტულ მოედნებზე გაიმართება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

## „ლელოს" ცნობათა ბიურო

**სიამოვნებით გვინდა ალვნიშნოთ, რომ რესპუბლიკაში შესამჩნევად გამოცოცხლდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, რაც ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციების დიდი დამსახურებაა. ახლა საჭიროა უფრო შემოქმედებითად მივუდგეთ საკითხს. რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი ორგანიზაციები ჩავრთოთ საქმეში. დავაწესოთ პრიზები ცალკეულ საუკეთესო უბნისა და ოჯახისთვის, აქტივისტებისთვის. სამაგალითოდ მოვიტანოთ თბილისის უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროს", რომელმაც მასობრივი ღონისძიებებისთვის საგანგებო პრიზები გამოყო. ამ თაოსნობას ყველას შეუძლია მიბაძოს. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის, ცნობილი სპორტსმენების, ვეტერანების მიმაგრება თითოეულ მოედანზე. მაშ ასე, მეტი ინიციატივა და შემოქმედება! რედაქცია დაელოდება გამოხმაურებას ამ წინადადებებზე.**



დაგვირეკეთ
99-56-14
93-97-55



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

## ვლადიმერ გოგოლაძის ახალი წარმატება

დასასრული

რჯიშმა გადაწყვიტა. გოგოლაძემ თითქმის უნაკლოდ იასპარეზა, 9,9 ქულა მიიღო და II ადგილზე დამკვიდრდა. საბოლოოდ ჩვენს ტანმოვარჯიშეს 114,775 ქულა დაუგროვდა, არტიომოვს — 115,325, გუსევს — 114,525.

უფრო ადრე გაიმართა ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდური შეჯიბრება. სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოსკოველებმა მოიპოვეს (380,750 ქულა). მეორე ადგილზე გავიდა რსფსრ-ის ნაკრები (378,0). მესამეზე — უკრაინის გუნდი (376,60). საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა 356,550 ქულით მე-8 ადგილი დაიკავეს. სუსტად იასპარეზა ჩვენი გუნდის ლიდერმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ეკა ზეთურიძემ — ძელზე და ორძელზე უხეში შეცდომები დაუშვა და საბოლოოდ მე-40 ადგილზე გადაინაცვლა. **ეკამ მხოლოდ ხტომებში გამოიჩინა თავი. პირველ ნახტომში 9,725 ქულა მიიღო, მეორეში — 9,9 და ამ სახეობის ფინალში საუკეთესო შედეგით გავიდა.**



**ვლადიმერ გოგოლაძე**

**სპორტული ტანვარჯიში**

**დაიბადა 1966 წლის 18 აგვისტოს თბილისში.**
**სიმაღლე 170 სმ, წონა 63 კგ.**
**საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, „ლოკომოტივი“.**
**სპორტულ ტანვარჯიშში უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის მოსწავლე.**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**
**მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი არნოლდ კვეტენაძე.**
**1982 წლის საკავშირო ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი თავისუფალ ვარჯიშში, მოსწავლეთა XVII სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი, 1984 წლის ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი მრავალჭიდში, კონტინენტის ჩემპიონი თავისუფალ ვარჯიშსა და ლერძზე. 1985 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი.**
**სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის „ვერცხლის“ პრიზიორი.**

## ტრეკიდან — კვარცხლბეკზე

**25 სექტემბერს** თავიანთი სასპარტაკიადო ტურნირი დაამთავრეს ველომრბოლელებმა. პროგრამის ბოლოსწინა სახეობაში 150 წრეზე (50 კმ) ინდივიდუალურ რბოლაში (30 საშუალედო ფინიშით) მსოფლიო ჩემპიონები ვიაჩესლავ ეკიმოვი, მარატ განეევი და სხვა ძლიერი სპორტსმენები ჩაებნენ, მაგრამ ამ რბოლაში ჩვენც გვქონდა მედლის მოპოვების იმედი — თქვა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კარლო შენგელიამ. **დიახ, ჩვენი გუნდის აქტივს კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი შეემატა. იგი 21 წლის თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გენადი გოდუნოვმა (მწვრთნელი — ვლადიმერ ეგანოვი) მოიპოვა.**

გოდუნოვმა რბოლის დასაწყისშივე გვაგრძნობინა, რომ მეტად სერიოზული მიზანი ჰქონდა დასახული. იგი ესტონეთის წარმომადგენელ ანდრეი სტარშოვთან ერთად გაექცა ძირითად ჯგუფს და ვიდრე დანარჩენები გონს მოვიდოდნენ, ორი საშუალედო ფინიში მოიგო და 10 ქულით ჩაუდგა სათავეში შეჯიბრებას. მათ მალე დაეწივნენ, მაგრამ გოდუნოვი მაინც მეთოდურად ზრდიდა ქულათა მარაგს და მეტოქეებს დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა. თანაგუნდელს რამდენჯერმე მარჯვედ წაეხმარა თეიმურაზ გიგოლაევი, რომელმაც რბოლის ლიდერი მოხერხებულ პოზიციაში გაიყვანა და მორიგი ქულები მოაპოვებინა, მაგრამ გიგოლაევი მალე დაიღალა, გოდუნოვს კი სულ უფრო და უფრო უჭირდა მარტო გამკლავებოდა მეტოქეებს. უკანასკნელი საშუალედო ფინიშის წინ რბოლას 32 ქულით ალექსანდრე ტოლკაჩოვი (ყაზახეთი) ჩაუდგა სათავეში. გოდუნოვსა და უკრაინელ ანდრეი მალაშინს 28-28 ქულა ჰქონდათ, მაგრამ მოულოდნელად მალაშინის თანაგუნდელმა ევგენი ბატიუროვმა, რომლის აქტივში მხოლოდ 18 ქულა იყო, ბოლო საშუალედო ფინიში მოიგო. რადგან ასეთი წარმატებისათვის მრბოლელი ორმაგ პრემიას — 10 ქულას იღებს, ვერცხლის მედალს ბატიუროვი დაეუფლა (ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში უპირატესობა იმ სპორტსმენს ენიჭება, რომელიც უკანასკნელ ფინიშზე მიაღწევს მეტ წარმატებას). გოდუნოვმა სწორედ ამ მაჩვენებლით გაუსწრო მალაშინს და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. პირველი ადგილი ალექსანდრე ტოლკაჩოვს ხვდა წილად.

გოდუნოვმა ამ წარმატებით 37,5 ქულა მოუტანა ჩვენს გუნდს. საერთოდ, მესამე ადგილისათვის 25 ქულაა დაწესებული, მაგრამ მსაჯებმა გაითვალისწინეს ინდივიდუალური რბოლის სირთულე და სპორტსმენებს მოპოვებული ქულების ნახევარი (1,5 კოეფიციენტზე გამრავლებით) დაუმატეს. გოდუნოვი ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაშიც მონაწილეობდა, აქ მან თანაგუნდელებთან ერთად (გოდუნოვი, გიგოლაევი, კორნიენკო, დავიდენკო) მე-8 ადგილი მოიპოვა (18 ქულა).

კეთილი ნების თამაშებზე რომ არ დაშავებულიყო, ოთარ მჭედლიშვილი ამჯერად სპრინტერთა შეჯიბრების უპირველესი ფავორიტი იქნებოდა ალბათ, მაგრამ, როგორც ჩანს, მან მთლიანად ვერ აღიდგინა სპორტული ფორმა. ოთარი სპრინტერთა ასპარეზობის მერვედფინალში უკრაინელ ალექსანდრე კირიჩენკოსთან დამარცხდა, მაგრამ სანუგეშო რბოლის მოგების შემდეგ მეოთხედფინალში მოხვდა. აქ მას კიდევ ერთხელ უმტყუნა ბედმა იგორ შელინსკისთან ორთაბრძოლაში და იგი V-VIII ადგილისთვის მებრძოლ სპორტსმენებს შეუერთდა. უკანასკნელ რბოლაში მჭედლიშვილმა ბელორუსიელ პეტროშიუსს, მოსკოველ პოდუშკოვს და თურქმენ სულთანოვს აჯობა და მე-5 ადგილზე გავიდა.

საბოლოოდ, საქართველოს ტრეკზე მრბოლელთა ნაკრებმა 103,5 ქულა მოაგროვა და საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-8 ადგილი დაიკავა. ჩვენმა სპორტსმენებმა ორი ბრინჯაოს მედალიც მოიპოვეს.

## გადამწყვეტი ბრძოლების წინ

**დღეს** მოკრივეთა სასპარტაკიადო ტურნირზე ფინალური ორთაბრძოლებია — გამოვლინდება ჩემპიონი თორმეტივე წონით კატეგორიაში. ფინალურ წყვილებში საქართველოს ორ წარგზავნილსაც ვხედავთ, რაც არ შეიძლება არ გვახარებდეს. დიახ, ხვიჩა ხდრიანმა (54 კგ) და ალბერტ კაზანჯიანმა (57 კგ) ღირსეულად გაიკვლიეს გზა ფინალისკენ და ახლა უმაღლესი სინჯის მედლებისკენ უჭირავთ თვალი.

ნახევარფინალში ხდრიანმა დამაჯერებლად მოუგო ერევნელ გაგიკ თევოსიანს, ხოლო კაზანჯიანმა დიდი უპირატესობით დაამარცხა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი აირაკ ხამატოვი.

ჩვენი მოკრივეების მიერ ბრწყინვალედ ჩატარებულმა ნახევარფინალურმა ბრძოლებმა დიდი იმედები ჩაუსახა რესპუბლიკის კრივის მოყვარულებს და გვჯერა, ბიჭები არც გადამწყვეტ ეტაპზე შეირცხვენენ თავს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მათ მეტად ძლიერ მეტოქეებთან მოუწევთ პაექრობა. ესენი არიან: კეთილი ნების თამაშების ჩემპიონები ალექსანდრე არტემიევი (ლენინგრადი) და მიხაკ კაზარიანი (ერევანი). შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში არტემიევმა გზიდან ჩამოიცილა მსოფლიოს ექსჩემპიონი იური ალექსანდროვი. სხვათა შორის, არტემიევმა ამ ორიოდე თვის წინ, კეთილი ნების თამაშების ფინალში მოუგო სწორედ მის დღევანდელ მეტოქეს ხვიჩა ხდრიანს. ასე რომ, ხვიჩას რევანშის დიდი წყურვილიც ამოძრავებს. რაც შეეხება კაზარიანს, მან კეთილი ნების თამაშების ფინალში დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი სამსონ ხაჩატრიანი. ეს კი თავისთავად ბევრს ნიშნავს.

ნახევარფინალში იბრძოდა სპარტაკ ასანიძეც (+91 კგ). მართალია, მან ფინალში გასვლა ვერ შეძლო, მაგრამ ჭიათურელი სპორტის ოსტატისთვის სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალიც დიდი მონაპოვარია.



**სპარტაკ ასანიძე**

**კრივი**

**დაიბადა 1968 წლის 30 მაისს ჭიათურაში.**
**წონა 91 კგ. სიმაღლე 187 სმ.**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.**
**სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1979 წელს თემურ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით.**
**სპორტსაზოგადოება „განთიადი“.**
**სპორტის ოსტატი.**
**საქართველოს ორგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის. ჭაბუკთა I რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონი, ჭაბუკთა I საკავშირო თამაშების ფინალისტი, სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობის (1986 წ) ფინალისტი. სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი (1986 წ.).**

## გამოცდა დაიწყო „სკოლით“

**როგორც** იცით, მოსკოვის აუზებში საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობების წარმომადგენლებმა, უფრო კონკრეტულად კი მოცურავეებმა, წყალში მხტომელებმა და წყალბურთელებმა დაგეგმილზე უკეთესი შედეგები აჩვენეს. ახლა შეჯიბრებაში სინქრონული ცურვის ოსტატები ჩაებნენ. ჩვენი გუნდის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ საქართველოსა და უკრაინის სინქრონული ცურვის ოსტატებს გუნდურ პირველობაში მე-4 ადგილისთვის შეუძლიათ იბრძოლონ. რა თქმა უნდა, პროგნოზების შედგენისას სპეციალისტები ითვალისწინებენ როგორც თავიანთ პოტენციურ თუ რეალურ შესაძლებლობებს, ისე მეტოქეთა ძალებს, ჩვენც სასწორზე შემოვდეთ მეტოქეთა შანსები და დავასკვენით, რომ საქართველოს ნაკრები მე-4 კი არა, მე-3 ადგილისთვის იბრძოლებს, ჩვენს გოგონებს კი ჯგუფურ გამოსვლაში ბრინჯაოს მედლები შეუძლიათ მოიპოვონ... თუმცა სჯობს მოთმინება ვიქონიოთ და შეჯიბრების დღეს დაველოდოთ.

ახლა რამდენიმე სიტყვით შეჯიბრების პირველი დღის ანგარიშს ჩავაბარებთ. ამ დღეს შეჯიბრების მონაწილეებმა, წესისამებრ, სავალდებულო პროგრამით იასპარეზეს. შეჯიბრება ეგრეთ წოდებულ „სკოლაში“ სანახაობრივი თვალსაზრისით ინტერესს არ იწვევს. მეტიც, მოსაწყენია მაყურებლისთვის, თუმცა სპორტსმენები, ცხადია, დიდი მონდომებით ასრულებენ ვარჯიშებს — აქ ნაჩვენებ შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი სპორტსმენები „სკოლაში“ შედარებით მოიკოჭლებენ. თუმცა ბოლო ხანებში მათ საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესომ, თბილისელმა ლელა მამიაურმა („კოლმეურნე“) X ადგილი დაიკავა, მისი თანაგუნდელი, იუნიორთა ევროპის ოქროსა და ვერცხლის მედლების პრიზიორი, ხრისტინა ფალასინიდი კი XIII იყო. ურიგო შედეგი არ არის.

„სკოლაში“ დაწინაურდა ლენინგრადელი ევროპის ჩემპიონი ჯგუფურ ვარჯიშში ელენა დოლჟენკო. მეორე იყო ჩვენი ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი, მოსკოველი ტატიანა ტიტოვა, მესამე — მისი თანაგუნდელი კატია ლავრიკი. საბჭოთა სინქრონული ცურვის აღიარებული ლიდერი, მოსკოველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ირინა პოტიომკინა V ადგილზე გავიდა.



მარცხნიდან: ვახტანგ ბოტკოველი, მარინე შალაშვილი, ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი, გია ალაპიშვილი, ფატი სულაქველიძე, ოლეგ სლივკოვი, გოდერძი ახობაძე.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ექსპრეს-ინტერვიუ

## „ოქროს ოთხეული“

**თბილისში** დაბრუნდა საქართველოს აკრობატთა ნაკრები. ჩვენმა კორესპონდენტმა ჯემალ კასრაძემ ექსპრეს-ინტერვიუ ჩამოართვა სპარტაკიადის ჩემპიონებს: ფატი სულაქველიძეს, გოდერძი ახობაძეს, ოლეგ სლივკოვს, გია ალაპიშვილს და ვახტანგ ბოტკოველს. (საუბარს ნაკრების უფროს მწვრთნელთან ანატოლი სლივკოვთან უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

პირველი შეკითხვა ჩვენი „ოქროს ოთხეულის“ გმირს გოდერძი ახობაძეს დავუსვით. როგორც იცით, იგი ნაოპერაციევი ფეხით ასპარეზობდა.



**— გოდერძი, ყველაზე ძალიან როდის გაგიჭირდა?**

— ბოლო დღეს. მოგეხსენებათ, ფინალში უფრო რთული ვარჯიშები სრულდება. — ინდივიდუალური ელემენტები დიდ სისწრაფეს მოითხოვს. მარტო რომ ვყოფილიყავი, ალბათ უარს ვიტყოდი სარბიელზე გამოსვლაზე, მაგრამ მეგობრებისთვის როგორ მეღალატა. ამდენი შრომა წყალში იყრებოდა, ამიტომ უნდა გამეძლო. ტკივილის ატანამ მარტო ჩემპიონობა კი არ მომიტანა, რაღაც ისეთიც მასწავლა, რისი გამოთქმაც მიჭირს.

ვახტანგ ბოტკოველი: — მობილიზების უნარი თუ არ გაქვს, სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი ძნელია. ჩვენი ოთხეულის ყველა წევრი გამოსვლის შედეგზე კი არა, უფრო იმაზე ფიქრობდა, გაუძლებდა თუ არა გოდერძი ასეთ დატვირთვას.

გია ალაპიშვილი: — ცხადია, გამარჯვებამ გაგვახარა, მაგრამ გული აი, რაზე გვწყდება: გოდერძი რომ არ დაშავებულიყო, იქნებ საბჭოთა კავშირის ჩემპიონებიც გავმხდარიყავით.

**— როდის ირწმუნეთ, რომ ჩემპიონები გახდებოდით?**

— მაშინ, როდესაც გამარჯვებულის კვარცხლბეკზე მდგარნი საქართველოს ჰიმნს ვისმენდით.

**— ფატი, ელოდი თუ არა ამ გამარჯვებას?**

— არა, ფორმაში არ ვიყავი, მაგრამ საპრიზო ადგილზე რომ გავიდოდი, ამის იმედი მქონდა.

**— სავალდებულო პროგრამაში მე-6 ადგილზე გასვლამ ხომ არ შეგირყია ეს რწმენა?**

— საერთოდ სავალდებულო ვარჯიშებს ცუდად ვასრულებ, მაგრამ მჯეროდა, რომ ნებისმიერში ყველაფერი გამოსწორდებოდა.

**— ელენა ბუგაიოვას ბოლო ვარჯიშს თუ უცქირე?**

— ამ დროს გასახდელში ვიჯექი. ჩემი მწვრთნელი ჯუმბერ ლაშხი შემოვიდა და თქვა, ლენამ ვარჯიში გააფუჭა და ჩემპიონი შენ გახდი. ლენა ძლიერი სპორტსმენია, 1984 წლის შემდეგ იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე და თასის გათამაშებაში ყოველთვის მიგებს. სამაგიეროდ, სხვა შეჯიბრებებში — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე და ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებში მე ვაჯობე. აქვე, მინსკში გამართულ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ხომ ისევ ლენამ გაიმარჯვა.

## სასპარტაკიადო ტურნირის ექო

# გამარჯვების რწმენით

საქართველოს წყალბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს ირაკლი ჩხიკვაძეს, რომელსაც მთელი სასპარტაკიადო ტურნირის განმავლობაში ახლოს ვერ ვეკარებოდით, ვერცხლის მედლების მოპოვების შემდეგ შევხვდით. ხელები გაასავსავა და გვითხრა, ინტერვიუ არ გამაგონოთო, მაგრამ მერე თანდათან მოლბა...

გავიხსენეთ საქართველოს წყალბურთელთა მიღწევები. ცხრა საკავშირო სპარტაკიადაზე მათ ოთხჯერ ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ორჯერ — ბრინჯაოსი, ამდენჯერვე მეხუთე ადგილზე გავიდნენ, ერთხელაც VI ადგილი დაიკავეს.

ამ მაჩვენებლით საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ჩამორჩება მხოლოდ რვაგზის ჩემპიონ მოსკოვის გუნდს, რომელმაც სულ ერთხელ დათმო ოქროს მედლები უკრაინის გუნდთან ბრძოლაში, ასე რომ, ჩვენი გუნდი სასპარტაკიადო ბრძოლებში გამოწრთობილი კოლექტივია.

— წყალბურთის სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ როცა საქართველოს წყალბურთელებს ჩავარდნა აქვთ, სასპარტაკიადო ტურნირები უღიმღამოდ ტარდება, — გვითხრა ირაკლი ჩხიკვაძემ. — ხოლო როდესაც ჩვენები კარგად თამაშობენ, სპარტაკიადაზე მიმზიდველი და საინტერესო თამაშები იმართება.

● **თქვენი აზრით, რომელი თამაში იყო ასეთი?**

— უწინარეს ყოვლისა, წინასწარ ტურნირში უკრაინის გუნდთან შეხვედრას გავიხსენებ. აქ ფავორიტებად მოსკოვის, უკრაინისა და ყაზახეთის გუნდები მიაჩნდათ. როცა ჩვენმა ბიჭებმა უკრაინის ნაკრებთან გაიმარჯვეს, სხვა თვალით დაგვიწყეს ყურება.

● **ჩვენი გუნდი ბრინჯაოს მედლებს უმიზნებდა, როდის ირწმუნეთ, რომ საქართველოს ნაკრებს მეორე ადგილისთვისაც შეეძლო ბრძოლა?**

— უკრაინის გუნდთან წინასწარ შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ. ეს რწმენა ყაზახეთის გუნდთან გამარჯვებამ განგვიმტკიცა.

● **როგორ ფიქრობთ, ყაზახეთის ნაკრებთან გამართულ მატჩში მათი ერთ-ერთი მოთამაშე პირველსავე პერიოდში რომ არ გაეძევებინათ სარბიელიდან შეცვლის უფლების გარეშე, ის შეხვედრა რით დამთავრდებოდა?**

— ყაზახეთის ნაკრებთან საასპარეზოდ გამოსულებს გვჯეროდა, რომ გავიმარჯვებდით. ვერცხლის მედლების ბედი პრაქტიკულად სწორედ მაშინ წყდებოდა. ამ რწმენამ შეგვასხა ფრთები. დარწმუნებული ვარ, ის მოთამაშე რომც არ გაეძევებინათ, მაინც ჩვენ გავიმარჯვებდით.

● **მწვრთნელები ხშირად საყვედურობენ მსაჯებს...**

— მათ მიმართ არავითარი პრეტენზია არა მაქვს. საერთოდ, ასეა, თუ გუნდი ძლიერია, არბიტრი ცდილობს კორექტული იყოს. ჩვენი ძალა მსაჯებმა და სხვებმაც უკრაინელებთან გამარჯვების შემდეგ ირწმუნეს.

● **თქვენ და ჩვენი ნაკრების მეორე მწვრთნელი ბორის მეგედი ამ სპარტაკიადის მონაწილე გუნდების მწვრთნელთა შორის ერთადერთნი იყავით, რომლებიც უმაღლესი ლიგის კოლექტივს ავარჯიშებთ. არ გიჭირთ ორ ფრონტზე ბრძოლა?**

— გვიჭირს კი არა, ჯოჯოხეთი გამოვიარეთ, მაგრამ გვიხარია, რომ გარჯა დაგვიფასდა.

შემდეგ ინტერვიუ ჩამოვართვით წყალბურთელთა ტურნირის მთავარ მსაჯს, წარსულში ცნობილ სპორტსმენს, მოსკოვის „უნივერსიტეტის" მოთამაშეს ბორის ჩერნიშოვს:

● **თავდაპირველად ვინ ითვლებოდა ფავორიტად და მათგან ვინ გაამართლა იმედი?**

— უდავო ფავორიტი მოსკოვის ნაკრები გახლდათ და გუნდმა გაამართლა კიდეც იმედი. ამ ერთპიროვნული ლიდერის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. დანარჩენ მედლებზე პრეტენზიას, უწინარეს ყოვლისა, ოთხი ნაკრები აცხადებდა: საქართველოს, უკრაინის, ყაზახეთისა და რუსეთის ფედერაციის გუნდები. მათგან საქართველოს ნაკრებს ყველაზე კარგად აეწყო საქმე. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი კი არაა, მათი დამსახურებაა. ისე, როგორც ადამიანი, გუნდიც თავადაა საკუთარი ბედის მჭედელი. ჩემი აზრით, მათთვის გადამწყვეტი ბრძოლა უკრაინის ნაკრებთან გამართული წინასწარი შეხვედრა იყო. იმ მატჩში უკრაინელებმა ალღო ვერ აუღეს თქვენი ჩინებული თავდამსხმელების ბითაძისა და რამიშვილის თამაშს. უკრაინელთა კარში გატანილი ყველა გოლი სწორედ ამ ორი მოთამაშის წილად მოდის.

● **თქვენი აზრით, მაინც რამ შეუწყო ხელი ჩვენს გუნდს წარმატების მოპოვებაში?**

— ვფიქრობ, თქვენი სპორტსმენებისთვის ერთ-ერთი კარგი სკოლაა თბილისის საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში, სადაც მათ შესაძლებლობა აქვთ მსოფლიოს უძლიერესი გუნდებისა და მოთამაშეების ოსტატობა იხილონ.

**საუბარი ჩაიწერა**
**ავთანდილ გურასაშვილმა.**

# ევროპის ჩემპიონატი

**განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, საბჭოთა ფეხბურთელები რეიკიავიკში შეხვდნენ ისლანდიის ნაკრებს.**

ისლანდია წარსულ წლებში არ მიეკუთვნებოდა ევროპის საუკეთესო გუნდების რიცხვს, მაგრამ ბოლო ხანებში ამ ქვეყნის ნაკრებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, აქაური საუკეთესო ფეხბურთელებიც უცხოეთის ძლიერ პროფესიულ კლუბებში გამოდიან. მათგან აღნიშვნის ღირსია, თუნდაც, ნახევარმცველი ა. სიგურვინსონი, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობილი „შტუტგარტის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. ყურადღების ღირსია ისიც, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ისლანდიელებმა თავიანთ მინდორზე რეიკიავიკში ფრედ დაამთავრეს მატჩი საფრანგეთის ძლიერ გუნდთან — 0:0.

სსრ კავშირისა და ისლანდიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს ერთმანეთთან ურთიერთობის დიდი ისტორია არა აქვთ. 1975 წელს საბჭოთა ოლიმპიელებმა შესარჩევი ციკლის პროგრამით ორჯერ დაამარცხეს ისლანდიის გუნდი — 2:0 და 1:0, ხუთი წლის შემდეგ კი ამ ორი ქვეყნის ეროვნული გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, ორივეჯერ გამარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:1 და 5:0.

ეს წარსულის ამბებია, 24 სექტემბრის მატჩში კი საბჭოთა გუნდი გარკვეული სიძნელეების წინაშე იმყოფებოდა. ტრავმების გამო თამაშში მონაწილეობა ვერ შეძლეს ჩივაძემ, ბელანოვმა, იაკოვენკომ, იარემჩუკმა, გოცმანოვმა. მოსკოვიდან რეიკიავიკში გადაფრენას გადასხდომით დიდი დრო დაჭირდა, რეიკიავიკის „ლეიგარდალსვეტლიურის" სტადიონი დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებზე მნიშვნელოვნად მცირეა.

რა თქმა უნდა, გუნდის თამაშს საგრძნობლად დაეტყო ის, რომ იგი იძულებული იყო თითქმის სანახევროდ სათადარიგო მოთამაშეებით გამოსულიყო მინდორზე, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა ვერ აჩვენეს დამაკმაყოფილებელი თამაში. როცა მატჩი დამთავრდა, აღებული ქულით კმაყოფილი ისლანდიელი ფეხბურთელები გახარებული ეხვეოდნენ ერთმანეთს, მათს მეტოქეებს კი სასიხარულო ბევრი არა ჰქონდათ რა.

მასპინძლებმა საფუძვლიანად გაამაგრეს დაცვის ხაზები და წინა ხაზზე კონტრშეტევებისთვის დატოვეს რამდენიმე სწრაფი გამოც-

იხ. მე-4 გვ.

## ქართველი ფალავნები საერთაშორისო ტურნირებზე

# სამი პრიზიორი

**რუმინეთში ჩატარდა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თორმეტი ქვეყნის უძლიერესი იუნიორები გამოდიოდნენ, უმთავრესად 1965 წელს დაბადებული სპორტსმენები. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში კი (იგი მთლიანად ქართველი ძიუდოისტებით იყო დაკომპლექტებული) უმრავლესობას ორი წლით ახალგაზრდები შეადგენდნენ.**

ჩვენმა ძიუდოისტებმა (გუნდში შვიდი სპორტსმენი იყო) თითო პირველი, მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს. კარგად იჭიდავა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა, „კოლმეურნის" წარმომადგენელმა ამირან ტოტიკაშვილმა (მწვრთნელი ზურაბ ოროხაშვილი). მან ოთხი შეხვედრა წმინდად, ერთიც ქულებით მოიგო და ტურნირის მთავარი პრიზი დაიმსახურა.

ხუთი შეხვედრა ჩაატარა მძიმე წონაში ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა, დინამოელმა ვალერი პარუნაშვილმაც (მწვრთნელი ოთარ ნატროშვილი) — ოთხი მოიგო და მხოლოდ ფინალურ ორთაბრძოლაში დამარცხდა (ისიც მსაჯთა გადაწყვეტილებით) იუნიორთა შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ პოლონელ კუბაცკისთან.

დავით დემეტრაშვილს (65 კგ, „კოლმეურნე", სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი, მწვრთნელი სულიკო ფეიქრიშვილი) ერთით მეტი ბრძოლის ჩატარება მოუხდა. ხუთი შეხვედრა მოიგო და ერთი წააგო. ამ ერთმა დამარცხებამ დახია იგი უკან და III ადგილზე გაიყვანა.

* * *

**სექტემბერი** მოჭიდავეებისთვის საკმაოდ დატვირთული თვეა. სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა რანგისა და დონის საერთაშორისო ტურნირები ეწყობა. ულან-ბატორში ამას წინათ ექვსი ქვეყნის (ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, მონღოლეთი და საბჭოთა კავშირი) თავისუფალი სტილის მოჭიდავენი შეიკრიბნენ. ჩვენი ქვეყანა ამ შეჯიბრებაზე პროფკავშირების საკავშირო ნაკრებით წარსდგა. გუნდის ღირსებას სხვებთან ერთად საქართველოს წარმომადგენელი გია ოქროპირიძეც (90 კგ) იცავდა.

— ქართველმა ათლეტმა მთელი ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა, ყველა შეხვედრა მოიგო, მათ შორის მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელ სუხბატთან გამართული ფინალური ორთაბრძოლაც და პირველი ადგილი დაიკავა.

ასეთივე შედეგი ჰქონდა ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს სერგეი კორნილაევს. 48 კგ წონით კატეგორიაში მან ყველა მეტოქე დაამარცხა.

მონღოლეთის პრესამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მოჭიდავეების გამოსვლას. მათ შორის ყველაზე მეტად სერგეი კორნილაევი და გია ოქროპირიძე შექო.



**გია ოქროპირიძე**

**(თავისუფალი ჭიდაობა)**

**დაიბადა 1962 წ. 15 თებერვალს, მცხეთის რაიონის სოფ. თხინვალში. სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრი.**
**სიმაღლე 183 სმ. წონა 90 კგ. ვარჯიშობს 1975 წლიდან.**
**მწვრთნელები — ვასილ ცუხიშვილი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ომზარ შოშიტაშვილი.**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.**
**პირველ წარმატებას მიაღწია 1985 წელს — სსრ კავშირის პროფკავშირთა პირველობა მოიგო.**



**ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში ინერგება სპორტის ახალი სახეობა—ბეისბოლი, მკითხველთა და სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ქართველმა ენთუზიასტებმა დროულად დაიჭირეს თადარიგი — შეკრებაც მოაწყვეს და უკვე ორჯერ ივარჯიშეს კიდეც, მაგრამ იმის გამო, რომ გაზეთი ძალზე ოპერატიული მასალებით იყო გადატვირთული, ბეისბოლისტთა პირველი ვარჯიშის შესახებ დღემდე ვერ მოგაწვდინეთ ცნობა. დღეს გთავაზობთ ლისის ტბაზე გამართული პირველი ვარჯიშის ამსახველ ერთ ფოტოს. წერილს და ფოტორეპორტაჟს კი „ლელოს" ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომი

გაზეთ „ლელოს" 1986 წლის 28 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია 23 აგვისტოს ცხაკაიას სტადიონზე მომხდარი ინციდენტის შესახებ.

23 აგვისტოს, საქართველოს პირველობაზე გამართული მატჩის დამთავრების შემდეგ ცხაკაიას „ეგრისის" ფეხბურთელთა გუნდის მეკარემ ზ. წახნაგიამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მთავარ არბიტრს მ. ჯინჭარაძეს, ფეხბურთელმა ვ. ბალათურიამ კი უშვერი სიტყვებით მიმართა გვერდით მსაჯს. ფეხბურთელების ეს უმსგავსო საქციელი პარტიის რაიკომის ბიუროს საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა.

ბიუროზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ დროს ფეხბურთელთა შორის თავი იჩინა უდისციპლინობამ, ცალკეულ ფეხბურთელთა თვითნებობამ, ხულიგნურმა გამოხტომებმა; ხშირია საწვრთნელი მეცადინეობების გაცდენის, კალენდარულ შეხვედრებზე ფეხბურთელთა გამოუცხადებლობის შემთხვევები. არასაპატიო მიზეზით საწვრთნელ მეცადინეობებს სისტემატურად აცდენენ ფეხბურთელები ბალათურია, ჯოჯუა, ბერულავა, მაგალითად თ. კირთაძეს 20 მეცადინეობა აქვს გაცდენილი. გარდა ამისა, იგი შემჩნეული იყო ალკოჰოლისადმი მიდრეკილებაში, ხშირად ეკამათებოდა მსაჯს, ხელს უწყობდა არაჯანსაღი დამოკიდებულების შექმნას ფეხბურთელთა შორის.

მსაჯებთან შეკამათებისა და სხვა დარღვევებისათვის მიმდინარე ჩემპიონატში ყვითელი ბარათი დაიმსახურეს მ. წახნაგიამ, ჯ. ყურაშვილმა, თ. ბაღუშვილმა, ვ. კიკალეიშვილმა, გ. ჩიქობავამ, გ. გაბესკირიამ.

გუნდში საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონე, უდისციპლინობა განაპირობა გუნდის უფროსი მწვრთნელის, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის გ. ოდიშარიას და მწვრთნელის გ. სიჭინავას სუსტმა, მოუქნელმა მუშაობამ, ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი რაიონის სპორტის მესვეურთა შემრიგებლურმა დამოკიდებულებამ.

გუნდში შექმნილი არაჯანსაღი ვითარების გამო დროულად ატყდა განგაში: მიმდინარე წლის 15 ივლისს პარტიის რაიონული კომიტეტის წინადადებით, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტისა და ფეხბურთის ფედერაციის გაფართოებულმა სხდომამ იმსჯელა გუნდში შექმნილ მდგომარეობაზე. გუნდიდან გაირიცხა ფეხბურთელი გ. კირთაძე, დაისაჯნენ სხვა ფეხბურთელებიც. მკაცრად გააფრთხილეს გუნდის მწვრთნელები გ. ოდიშარია და გ. სიჭინავა, მათვე დაავალეს გადამჭრელი ზომები მიეღოთ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად. ამის შესახებ წერილიც გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში.

29 ივლისს რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე გააკრიტიკეს ფეხბურთელთა გუნდი, მისი მწვრთნელი, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თანამშრომელთა მუშაობა. მოსალოდნელი იყო, რომ ისინი საჭირო ზომებს მიიღებდნენ სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის გარდასაქმნელად, მაგრამ მოხდა პირიქით.

ბიურომ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის (თავმჯდომარე თ. ბოჭორიშვილი) მიერ გაწეული მუშაობა.

რაიკომის ბიურომ ცნობად მიიღო, რომ გუნდში საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა დისციპლინისა და წესრიგის უხეში დარღვევები, მწვრთნელები გ. ოდიშარია და გ. სიჭინავა გათავისუფლდნენ სამუშაოდან, ხოლო გ. სიჭინავას პარტიული პასუხისმგებლობის საკითხს პირველადი პარტიული ორგანიზაცია განიხილავს.

ცნობად იქნა მიღებული ისიც, რომ ფეხბურთელები ზ. წახნაგია და ვ. ბალათურია გუნდიდან გაირიცხნენ, ზ. წახნაგიას ხულიგნურ მოქმედებასთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება.

რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულებისათვის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს თ. ბოჭორიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო პარტორგანიზაციის მდივანს დ. კიტოვანს — საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

რაიონში ფეხბურთის განვითარებასა და სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გარდასაქმნელად რაიონის ფეხბურთის ფედერაციის, კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭოს, რაისაბჭოს აღმასკომისა და პარტიის რაიკომის შესაბამისი განყოფილებების მიერ გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. მათ დაევალათ ამ მიმართებით წარმართული საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესება.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას დაევალა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი დაამყაროს ფეხბურთის მატჩების მსვლელობის დროს.

მიღებული დადგენილების შესრულებაზე დაწესებულია მკაცრი კონტროლი.

**რ. ფაჩულია,**
**რაიკომის მეორე მდივანი.**

# ევროპის ჩემპიონატი

(დასასრული)

დილი ფეხბურთელი. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევა გოლითაც დამთავრდა: 32-ე წუთზე ჩვენი გუნდის მცველებმა, კერძოდ, დემიანენკომ, უხეში შეცდომა დაუშვეს, ვერ მოიგერიეს იოლი ბურთი და გუდიონსონმა ბოლო მომენტში დაასწრო კარიდან წინ გამოსულ მეკარე დასაევს — 1:0.

ამის შემდეგ სტუმრების თამაში კიდევ უფრო გაუარესდა, ხშირი იყო შეცდომები გადაცემისას, მაგრამ მდგომარეობა იხსნა სულაქველიძემ. ტაიმის ბოლო წუთზე იგი ჩაერთო იერიშში, საჯარიმო მოედნის კუთხეში მიიღო ისლანდიელი მცველისგან უკუგდებული ბურთი და ძლიერად დაარტყა კარში — 1:1.

შესვენების შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა საბჭოთა ფეხბურთელებს ეპყრათ, მაგრამ გადამწყვეტ სიტუაციებში ისინი კვლავ უზუსტოდ თამაშობდნენ, მასპინძელთა კონტრშეტევების დროს კი კარგად მოქმედებდნენ სიგურვინსონი, გუდიონსონი, სიგ. იონსონი და სხვანი. ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ უდისციპლინობისთვის ყვითელი ბარათები დაიმსახურეს ბესონოვმა და რაცმა.

საბჭოთა ნაკრებმა რეიკიავიკში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, ბესონოვი, სულაქველიძე, კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი, ლარიონოვი (ლიტოვჩენკო), ზავაროვი, ალეინიკოვი, ხიდიატულინი (როდიონოვი), ბლოხინი.

ევროპის ჩემპიონატის მომდევნო შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებს 11 ოქტომბერს აქვთ პარიზში, საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან. ეს მატჩი საერთაშორისო საფეხბურთო წრეების დიდ ინტერესს იწვევს.

ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევ ჯგუფში 24 სექტემბერს კიდევ ერთი მატჩი შედგა, ნორვეგიელმა ფეხბურთელებმა ოსლოში მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები. მასპინძლებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ძალზე ძლიერად ითამაშეს გდრ-ის ნაკრების მცველებმა და მეკარე მიულერმა. მატჩის დასასრულს სტუმრების კართან რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ნორვეგიელებმა საწადელს ვერ მიაღწიეს — 0:0.

სატურნირო მდგომარეობა III ჯგუფში.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| სსრ კავშირი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| გდრ | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |

ამრიგად, სამივე მატჩი ჯგუფში ფრედ დამთავრდა: ისლანდია — საფრანგეთი 0:0, ისლანდია — სსრ კავშირი 1:1, ნორვეგია — გდრ 0:0.

ევროპის ჩემპიონატის II შესარჩევ ჯგუფში სტოკჰოლმში ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და შვეიცარიის გუნდები. ანგარიშით 2:0 (1:0) გაიმარჯვეს შვედებმა, ორივე ბურთი გაიტანა ექსტრემმა.

## ქუთაისის სპორტულ ბაზებზე

# მესამე ტრადიციული

**ქუთაისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მესამე ტრადიციული საქალაქო სპარტაკიადა.**

პირველ ჯგუფში გაერთიანებული რვა კოლექტივი სპარტაკიადის 11 სახეობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბმა „კოლხეთმა" დაიკავა. ავტომშენებლებმა ცალკეულ სახეობებშიც წარმატებით იასპარეზეს და პირველობა არავის დაუთმეს ფრენბურთში (ქალები, ვაჟები), მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, ქართულ ჭიდაობაში, ცურვაში კი I-II ადგილები გაიყვეს ელექტრომექანიკური ქარხნის სპორტსმენებთან ერთად. გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე ელექტრომექანიკური ქარხნის წარმომადგენლები გავიდნენ: ცურვის გარდა მათ მძლეოსნობასა და კალათბურთში (ქალები) იმარჯვეს, 1492 ქულა მოაგროვეს და 116 ქულით გაუსწრეს III ადგილზე გასულ აგრეგატების საწარმოო გაერთიანების მუშა-სპორტსმენებს. ფეიქრებმა გაიმარჯვეს მშდ მრავალჭიდში და კალათბურთში (ვაჟები). მოჭადრაკეთა ტურნირში რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის სპორტსმენებმა გამოიჩინეს თავი. პირველი ჯგუფის გუნდებს შორის ასევე კარგი შედეგები აჩვენეს ქარხანა „ავანგარდის", სამკერვალო გაერთიანება „გელათის" და კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანების კოლექტივებმა.

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრებები მეორე ჯგუფის გუნდებს შორისაც. აქ ყველას მოტობლოკების ქარხნის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის მუშა-სპორტსმენებმა აჯობეს, II ადგილზე ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანების გუნდი გავიდა, მესამე იყო საწარმოო გართიანება „ქუთაისის პურის" კოლექტივი.

(„ლელოს" საკ. კორ).

# პირველად...

**სახანძრო**-გამოყენებით სპორტს ბევრი მიმდევარი ჰყავს ჩვენს რესპუბლიკაში. სპორტის ეს სახეობა კარგა ხანია დაინერგა ქუთაისში, მაგრამ საჭირო ბაზის უქონლობის გამო ვარჯიშების, შეჯიბრებების ნორმალურად ჩატარება ძნელდებოდა და ამიტომ შედეგებიც მოკრძალებული იყო. მაგრამ აი, ქუთაისის სახანძრო დაცვის № 5 რაზმის (უფროსი ო. ჭაბუკიანი) ინიციატივით ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე (დირექტორი ლ. ადეიშვილი) უმოკლეს დროში აიგო რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა სახანძრო-გამოყენებითი სპორტის მოყვარულთათვის. ეს სარბიელი სავსებით პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. სპეციალისტების აზრით, აქ ნებისმიერი რანგის შეჯიბრების ჩატარება შეიძლება.

ამ დღეებში ბაზა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა და პირველი შეჯიბრებაც გაიმართა — სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში.

შეჯიბრებაში, რომელიც საკმაოდ მაღალ დონეზე, საინტერესოდ ჩატარდა, საუკეთესო მომზადება გამოავლინეს რუსთაველმა მეხანძრეებმა. საერთო გუნდურ ჩათვლაში მათ დამაჯერებლად დაიკავეს პირველი ადგილი. მეორე ადგილზე ფოთელი სპორტსმენები გავიდნენ, მესამეზე — აფხაზეთის წარმომადგენლები.

ცალკეული ვარჯიშები კარგად შეასრულა ფოთელმა ოსტატობის კანდიდატმა ზურაბ შეროზიამ, რომელმაც პირველმა გადალახა 100-მეტრიანი დაბრკოლებათა ზოლი. საიერიშო კიბით სამოსწავლო კოშკის მეოთხე სართულზეც პირველი ავიდა.

სამმუხლიანი გასაშლელი კიბით მესამე სართულზე ასვლაში რუსთაველმა სპორტის ოსტატებმა გ. ცეცხლაძემ და ხ. ოგანეზოვმა გაიმარჯვეს. რაც შეეხება საბრძოლო გაშლასა და სახანძრო ამანათრბენს (4X100 მეტრზე), ამ სახეობაში აფხაზეთის გუნდის წევრებმა იმარჯვეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ბაზაზე ერთი დღითაც არ შეწყვეტილა სპორტული ცხოვრება. აქ სისტემატურად ვარჯიშობენ ქუთაისელი მეხანძრეები. უახლოეს მომავალში ამ ახალ, შესანიშნავ ბაზაზე არაერთი საინტერესო ასპარეზობა ჩატარდება.

**თამაზ კოლხიდელი,**
**„ლელოს" საკ. კორ.**
ქუთაისი.

## I ლიგა

**25 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 37-ე ტურის მატჩები.**

**„დინამო" (ბათუმი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 1:0 (0:0)**

**ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 25 სექტემბერი.**

**„დინამო": მამინაშვილი, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, მენაბდე, ათუაშვილი, კაკაბაძე (პაიჭაძე), გორგილაძე, მაისურაძე (კიკლიაშვილი).**

**„კოტაიკი": ანტონიანი, გ. პოღოსიანი, ზაქარიანი, სააკიანი, ფარსადანიანი, ზ. ოჰანესიანი, ვართაზარიანი, ა. ოჰანესიანი, ო. ოვსეპიანი, ბალაბეკიანი, ხუქიასიანი.**

**მსაჯი ვ. ნოვიკოვი (მოსკოვი).**

ბათუმის დინამოელთა სატურნირო ურთიერთობანი აბოვიანის „კოტაიკთან" ჯერ კიდევ მეორე ლიგიდან იწყება. დინამოელები ახლა I ლიგის წამყვანი გუნდების რიცხვს მიეკუთვნებიან, „კოტაიკი" კი ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი შეხვედრები მუდამ დაძაბული ბრძოლით ალინიშნება. ასე იყო ამჯერადაც. პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ უპირატესობა აბოვიანელებმა იგდეს ხელთ, „დინამოს" მცველებს და მეკარე მამინაშვილს მძიმე სამუშაო დააწვა, მე-15 წუთზე ა. ოჰანესიანმა ძელს მოახვედრა ბურთი და მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს მასპინძლებმა მდგომარეობის გამოსწორება.

მაგრამ შესვენების შემდეგ უპირატესობამ მთლიანად ბათუმელთა მხარეს გადაინაცვლა. მიმდინარეობდა მატჩის 59-ე წუთი, როცა მენაბდემ მიიღო მაისურაძის გადაცემა და დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა. მეკარე ანტონიანი უძლური იყო — 1:0.

დინამოელებს შემდეგშიც ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა, კერძოდ, მენაბდეს, გორგილაძეს და სხვებს, მაგრამ „კოტაიკის" კარი გადაურჩა ხიფათს და დინამოელებმა თამაში მინიმალური ანგარიშით მოიგეს — 1:0.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

25 სექტემბერის შეხვედრათა სხვა შედეგები: „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ისკრა" (სმოლენსკი) 2:0, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — ასკ (ხაბაროვსკი) 0:0, ასკ (დონის როსტოვი) — „კუზბასი" (კემეროვო) 3:1, „ატლანტასი" (კლაიპედა) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 2:1, „დაუგავა" (რიგა) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 0:0, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 1:2, „პამირი" (დუშანბე) — „დინამო" (სტავროპოლი) 1:0, ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 3:1, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — ცსკა 0:2, ლანჩხუთის „გურია" ამ ტურში ისვენებდა.

**28 სექტემბერს შედგება 38-ე ტურის შეხვედრები. ლანჩხუთის „გურია" ორჯონიკიძეში შეხვდება „სპარტაკს", ბათუმის „დინამო" კი ამ ტურში თავისუფალია.**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 27 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა" | 35 | 21 | 9 | 5 | 68-36 | 51 |
| ასკ „კარ." | 36 | 17 | 10 | 9 | 55-39 | 44 |
| „გურია" | 35 | 19 | 5 | 11 | 51-49 | 43 |
| ცსკა | 35 | 18 | 7 | 10 | 50-32 | 43 |
| „პამირი" | 35 | 16 | 9 | 10 | 54-34 | 41 |
| „როტორი" | 35 | 18 | 4 | 13 | 55-44 | 40 |
| „დინამო" ბ. | 36 | 17 | 6 | 13 | 39-45 | 40 |
| „ლოკომ." | 35 | 15 | 10 | 10 | 46-34 | 40 |
| „შინიკი" | 36 | 14 | 12 | 10 | 33-27 | 40 |
| „როსტსელ." | 35 | 14 | 10 | 11 | 65-50 | 38 |
| „კოლოსი" | 35 | 13 | 11 | 11 | 35-35 | 37 |
| ასკ რ. | 35 | 14 | 8 | 13 | 45-35 | 36 |
| „მეტალურ." | 35 | 14 | 7 | 14 | 46-39 | 35 |
| „ფაკელი" | 35 | 14 | 7 | 14 | 38-36 | 35 |
| „ფახთაქ." | 35 | 13 | 8 | 14 | 41-49 | 34 |
| „სპარტაკი" | 35 | 10 | 12 | 13 | 44-46 | 32 |
| „კუზბასი" | 35 | 10 | 11 | 14 | 44-50 | 31 |
| „დინ." სტ. | 35 | 9 | 12 | 14 | 46-43 | 30 |
| „ყუბანი" | 35 | 9 | 13 | 13 | 29-36 | 30 |
| „კოტაიკი" | 36 | 9 | 12 | 15 | 32-41 | 30 |
| „ისკრა" | 36 | 9 | 10 | 17 | 24-46 | 28 |
| ასკ ხ. | 35 | 8 | 11 | 16 | 37-49 | 27 |
| „ატლანტ." | 35 | 6 | 10 | 19 | 28-57 | 22 |
| „ნისტრუ" | 36 | 5 | 8 | 23 | 24-77 | 18 |

## სსრ კავშირის პირველობა

## II ლიგა

**გუშინ** თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი. თბილისის „ლოკომოტივმა" მიიღო ლენინაკანის „შირაკი".

თამაში დამთავრდა ლენინაკანელთა გამარჯვებით — 3:1.

## ოლიმპიელები ემზადებიან

**სსრ კავშირის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრები ემზადება მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის. მალე დაიწყება შესარჩევი მატჩები, ჩვენს გუნდს 14 ოქტომბერს სტუმრად აქვს ჩასატარებელი მატჩი ნორვეგიის ოლიმპიურ გუნდთან.**

ამ მცირე ხნის წინ საბჭოთა ოლიმპიურმა ნაკრებმა შვეციაში ითამაშა ადგილობრივ ოლიმპიურ გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0, ამ მეტოქეთა საპასუხო მატჩი კი 24 სექტემბერს გაიმართა ლენინგრადში. საინტერესო ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0, ბურთი 86-ე წუთზე გაიტანა დმიტრიევმა.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობა: ხარინი, ვორობიოვი (კეტაშვილი), პანჩიკი, კუდინოვი, იანონისი, აფანასიევი (კუზნეცოვი), ტიშჩენკო, ი. სავიჩევი, მიხაილიჩენკო (ლიუტი), დმიტრიევი, ო. მოროზოვი.

**სოფია.** აქ შედგა ბულგარეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრა. იგი დამთავრდა ფრედ — 2:2, საბჭოთა ფეხბურთელთაგან ბურთები გაიტანეს კუქლევმა და გორილიმ.

**კოპენჰაგენი.** დანიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად აქ ჩავიდა განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები. სტუმრებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს დანიის გუნდი. ბურთები გაიტანეს ტონმა და ალოფსმა.

**ხიხონი.** ესპანეთის ამ ქალაქში ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდები. ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა ესპანელთა გამარჯვებით — 3:1, მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს სალინასმა, ფრანსისკომ და ვიქტორმა, ხოლო სტუმართა მხრივ — სკარტადოსმა.

## ფეხბურთი და ისლამი

მუსულმანურ ქვეყნებში მკაცრად იცავენ მარხვას რელიგიური დღესასწაულის რამაზანის დროს.

წლევანდელი რამაზანის დღეები ნაწილობრივ დაემთხვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირს, სადაც პირველად გამოდიოდნენ ერაყელი ფეხბურთელები. ამ ქვეყნის რელიგიურმა მმართველმა წრეებმა ეროვნული სპორტული პრესტიჟის გულისთვის ერაყის ნაკრების 22 ფეხბურთელს ნება დართეს დაერღვია რამაზანის წმიდათაწმიდა მარხვის კანონი. ფეხბურთელებს ნება მისცეს საკვები მიეღოთ ისე, როგორც ამას სპორტული რეჟიმი მოითხოვდა. საერთოდ კი რამაზანის დროს მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ჭამა არ შეიძლება.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

## უკანასკნელი შესვენება

**გუშინწინ** რიგაში უნდა გამართულიყო არტურ იუსუპოვისა და ანდრეი სოკოლოვის მატჩის მე-11 პარტია, მაგრამ იგი არ შედგა. უკანასკნელი ტაიმ-აუტი აიღო სოკოლოვმა. შეგახსენებთ, დღეისათვის მატჩის ანაგრიშია 6:4 იუსუპოვის სასარგებლოდ.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მორიგი, 38-ე ტირაჟებისა, რომლებიც 21 სექტემბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6-45"-დან:** გაიყიდა 733 058 ბარათი.

6 ციფრი ერთმა გამოიცნო, რომელიც 10 000 მანეთს მიიღებს, 5 ციფრის გამოცნობისთვის (62) ბარათი) მოგება 709 მანეთია, 4-ისთვის (2274) — 29, 3-ისთვის (35 496) — 3.

**„სპორტლოტო 5-36"-დან:** გაიყიდა 5 780 376 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (24 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, 4-ისთვის (50005) — 125, 3-ისთვის (172 996) — 5.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 27 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2)**; სპორტული პროგრამა: 1. სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში, 2. სპორტული ტანვარჯიში სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე — **18.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა შორის: სსრ კავშირი — კუბა — **23.40 (1)**.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

რესპუბლიკის სპორტის ვეტერანთა საბჭო და სპორტის სასახლის დირექცია კვირას, 28 სექტემბერს, 12 საათზე სპორტის სასახლეში აწყობს სპორტის ვეტერანთა თავყრილობას. განხილული იქნება სასახლესთან ვეტერანთა საბჭოს შექმნის საკითხი.

სპორტის ვეტერანებს ვთხოვთ დაესწრონ.

შესვლა სპორტის სასახლის სასამსახურო შესასვლელიდან.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05831